ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1495967

ნომერი: AR1250482

თარიღი : 13.09.2014

გაცემის თარიღი : 18.09.2014

გაცნობის თარიღი : 18.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 37 , (ნაკვ.7/9) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ფილიშვილი პ/ნ 01027023091
- ხომლელის4 ბ25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილია საკადასტრო გეგმა, სადაც მონიშნულია მისაშენებელი შენობის ზუსტი ადგილი. მონიშნული ადგილით დგინდება, რომ ზუსტად აღნიშნულ ტერიტორიაზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა საოფისე შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც ასევე უკვე ასახულია წარმოდგენილ საკადასტრო გეგმაზე წყვეტილად და მითითებული აქვს #8 შენობის აღმნიშვნელი ნუმერაცია. აგრეთვე სამსახურის მიერ გადამოწმებული ინფორმაციით კი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკადასტრო ციფრულ რუკაზე შენობა მთლიანად დატანილია (იხ. დანართი). შესაბამისად სამსახური ერთიდაიგივე ადგილას სხვადასხვა ობიექტის მშენებლობაზე ნებართვას ვერ გასცემს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.